ბანკმა „რესპუბლიკა“ 2 მილიონ ლარზე მეტი სესხი გასცა აგროკრედიტის პროგრამის მე-5 კომპონენტის ფარგლებში

ბანკი „რესპუბლიკას“ განცხადებით „სარკესთან“, შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მე-5 კომპონენტის ფარგლებში (ღვინის კომპანიებისთვის ყურძნის შესყიდვის სახელმწიფო სუბსიდირება) გაცემულია 1 მილიონი ლარის და 0,65 მილიონი აშშ დოლარის სესხები. შეგახსენებთ, რომ მე-5 კომპონენტი ითვალისწინებს 15 თვიანი შეღავათიანი სესხების გაცემას იმ კომპანიებზე, რომლებიც შეიძენენ 1 კგ ყურძენს 1 ლარად ან უფრო მაღალ ფასად. ამასთან, სახელმწიფო ფარავს საპროცენტო განაკვეთის 12-15%-დან 9%-ს. ამ კომპონენტის ფარგლებში სესხების გაცემა დაიწყო აგვისტოს მეორე ნახევარში, ბანკი „რესპუბლიკა“ შეუერთდა მას 4 სექტემბერს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს ბოლო მონაცემებით, სხვადასხვა ბანკებში 23 საწარმოს მიღებული აქვს სულ 27,4 მლნ ლარის სესხები მე-5 კომპონენტის ფარგლებში.

DAILY NEWS, 19 სექტემბერი, 2013

აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში იჯარით არავინ დაინტერესებულა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის მართვის სააგენტომ განუცხადა „სარკეს“, რომ არც ერთი კრედიტი არ გაცემულა აქამდე შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მე-4 კომპონენტის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპონენტი (მანქანების და მოწყობილობების იჯარით გაცემის შესახებ) დაემატა პროგრამას ივლისის ბოლოს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განმარტა, რომ ეს კომპონენტი მე-3 კომპონენტის მსგავსია ერთადერთი სხვაობით - არანაირი დამატებითი გარანტია არ არის საჭირო იჯარის შემთხვევაში. დანადგარები ან ტექნიკა, რომლებსაც იღებენ მეწარმეები იჯარით, გახდება გარანტია. შეგახსენებთ, რომ მე-3 კომპონენტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის საწარმოებს შეუძლიათ კრედიტების აღება 1 მლნ ლარის ოდენობით (ექვივალენტი აშშ დოლარში) და 7 წლამდე ვადით 3%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

DAILY NEWS, 19 სექტემბერი, 2013

თელავის ღვინის მწარმოებელი 3 კომპანია გეგმავს 9 600 ტ-ზე მეტი ყურძნის გადამუშავებას ამ წელს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, მინისტრი შალვა ფიფია სტუმრობდა დღეს თელავს, სადაც იგი გაეცნო 3 ღვინის მწარმოებელი კომპანიის - „შუმი“, „წინანდლის ძველი მარანი“ და „თელავის ღვინის მარანი“ - ფუნქციონირებას. წელს ეს კომპანიები 9 600 ტ ყურძნის გადამუშავებას გეგმავენ. კერძოდ, „შუმი“ გეგმავს 1 200 ტ, „წინანდლის ძველი მარანი“ – 2 000 ტონამდე, ხოლო „თელავის ღვინის მარანი“ – 6 400 ტ. ყურძნის გადამუშავებას. როგორც სარკეს აცნობეს, აღნიშნული კომპანიები მე-3 და მე-5 კომპონენტების შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ (რაც გულისხმობს ახალი საწარმოს შექმნას ან ძველის საქმიანობის გაფართოებას და ყურძნის შესყიდვის სუბსიდირებას). ამასთან, სამინისტროს სირთულეები შეექმნა კონკრეტული თანხების და ბანკების განსაზღვრისას. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კომპანია ღვინის ექსპორტს აწარმოებს რუსეთში: „შუმის“ მიერ უკვე ექსპორტზე 32 000 ბოთლი, „თელავის ღვინის მარანის“ – 500 000 ბოთლი, ხოლო „წინანდლის ძველი მარანის“ მიერ 60 000 ბოთლია გატანილი და ეს კომპანია გეგმავს 30 000 ბოთლის მიწოდებას უახლოეს დღეებში.

DAILY NEWS, 18 სექტემბერი, 2013

სს „ყაზბეგის“ ზარალი შემცირდა

სს „ყაზბეგის“ ნახევარწლიური ანგარიშით, კომპანიამ დაკარგა 243 300 ლარი წლის პირველ ნახევარში (კლება წინა წელთან შედარებით - 6,8-ჯერ). 30 ივნისისთვის კომპანიის მიმდინარე აქტივებმა შეადგინა 5,28 მილიონი ლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით - 11,3%), ხოლო ძირითადმა საშუალებებმა - 2,05 მლნ ლარი (კლება - 6%). ვალდებულებებმა შეადგინა 3,36 მილიონი ლარი (კლება წინა წელთან შედარებით - 2,5-ჯერ). კომპანიის მონაცემებმა მიწოდებასთან და მომსახურებებთან დაკავშირებით 4,2 მილიონი ლარიანი ზრდა (ზრდა წინა წელთან შედარებით - 20%) აჩვენა. შემოსავლებმა გაყიდვებიდან (წმინდა გაყიდვები) შეადგინა 43 758 ლარი (კლება - 41,4%), ხოლო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება იყო 36 323 ლარი (კლება - 41,6%). საანგარიშო პერიოდში „ყაზბეგის“ საკუთრებაში იყო 1,05 მილიონი ლარის სასაქონლო მარაგები (კლება წინა წელთან შედარებით - 13,2%). 1998 წელს დაარსებული სს „ყაზბეგი“ ახდენდა ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას და რეალიზაციას. ამჟამად პროდუქციის ჩამონათვალში შედის 4 ტიპის ლუდი და 7 დასახელების ლიმონათი და ცივი ჩაი. ნედლეული ლუდის წარმოებისთვის კომპანიას იმპორტით შემოაქვს უნგრეთიდან და გერმანიიდან.

DAILY NEWS, 17 სექტემბერი, 2013

თხილის ბაზარი "ცხრად გაყოფისგან" ზარალობს?

წინასწარი შეფასებით, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში წლეულს დაახლოებით 40-50 ათასი ტონა თხილი შეაგროვეს, შარშან კი მოსავალი 24,7 ათასი ტონა იყო. ბეგი სიორიძე, საქართველოს საექსპორტო კომპანიის ხელმძღვანელი, აცხადებს, რომ ახლა მოსახლეობისგან 1 კილოგრამს 2,40 ლარად იბარებენ, თითქმის შარშანდელ ფასად. ალექსანდრე მოწერელია, თხილის ექსპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, აცხადებს, რომ ყველაზე მეტი ქართული თხილი ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში გადის, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და პერსპექტიული ჩინური ბაზარია. რუსეთის ბაზარზე ქართული თხილი შემოვლითი გზით, რეექსპორტით მთელი ამ წლების განმავლობაში შედიოდა. თუ რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანა გამარტივდება, ექსპორტის მოცულობაც გაიზრდება. თხილის გასაყიდი ფასიც ალბათ შემცირდება, რადგან რეექსპორტის ხარჯები მოაკლდება. მოწერელია აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ბაზარზე ბევრი გადამყიდველი საქმიანობს, რომლებიც თხილს გლეხებისგან ყიდულობენ და შემდეგ მწარმოებლებზე და ექსპორტიორებზე ყიდიან, მაგრამ მათ არ იციან ბაზრის სპეციფიკა.

ECONOMIC PRESS MONITOR, 16 სექტემბერი, 2013

მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელების მიერ შეძენაზე - ქსენოფობია, მიოპია თუ სხვა პრობლემა?

28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მორატორიუმის შესახებ უცხოელების და უცხო ქვეყნის იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე 2014 წლის ბოლომდე. კანონპროექტმა შეცვალა წინა პერიოდის პოლიტიკა, რომელიც მიესალმებოდა უცხოელების დასახლებას და ინვესტიციების დაბანდებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში. ამ პოლიტიკის კულმინაცია უნდა გამხდარიყო პროგრამა, რომელიც ერთი შეხედვით მიწას არ ეხებოდა და ითვალისწინებდა საქართველოში სწრაფი ნატურალიზაციის შეთავაზებას ათეულობით პროფესიონალი ფერმერისთვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან.

ამ პოლიტიკის შეცვლამ გამოიწვია გაღიზიანება იმ ჯგუფებში, რომლებიც წარმოადგენენ ექსპატრიანტ საქმიან წრეებს საქართველოში. ისინი ცდილობენ მიაწვდინონ ხმა ქართველ კანონმდებლებს. კანონი, მათი აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კრედიტების შემოსვლას დააზარალებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ბოლო განცხადების მიხედვით, კანონი შეიძლება არაკონსტიტუციურადაც ჩაითვალოს.
საქართველოს მთავრობას ან/და პარლამენტს არ სჭირდება ამ კანონის უშუალო ნეგატიური შედეგების შეხსენება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას ძალიან სჭირდება ინვესტიციები ფიზიკური კაპიტალის და ტექნოლოგიების სახით, რაც მხოლოდ გარედან შეიძლება მიიღოს. სექტორში უცხოელთა მხრიდან ინვესტირების შეწყვეტით, კანონი ასევე შეასუსტებს მიწის კონსოლიდაციის პროცესის ეფექტურობას. მაგრამ არსებობს რაიმე სარგებელი, რომელიც მორატორიუმთან ასოცირდება? და მართლაც, რა პრობლემას მოაგვარებს ის? ცინიკური და არც თუ განსაკუთრებით გონივრული ინტერპრეტაციით, კანონი გამოიწვია მოსაზრებამ, რომ "ინდოელები ყიდულობენ მთელ საქართველოს" და არ აქვს სხვა მიზანი, გარდა ქართველი დაბალი წრის წარმომადენლების რასისტული განწყობების დაშოშმინებისა. ინდოელი ინვესტორები ქმნიან პრობლემას - არსებობს ასეთი ცინიკური მოსაზრებაც.
თუმცა, პრობლემა რეალურად არსებობს. მას ბევრი არაფერი აქვს საერთო ქსენოფობიასთან და არ არის უნიკალური საქართველოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებით არ იქნება დაგეგმილი და განხორციელებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ ქართული სოფლების უშუალო სიახლოვეს შეიძლება გამოიწვიოს ძალადობა და სოციალური არეულობა, რაც გაცილებით უფრო ცუდ შედეგებს მოიტანს როგორც საგარეო, ისე საშინაო საინვესტიციო გარემოს კუთხით საქართველოს ეკონომიკისთვის, ვიდრე ყბადაღებული მორატორიუმი. 2013 წლის დასაწყისში ორგანიზებული საპროტესტო აქციები საქართველოში ლოზუნგით "ქართული მიწა ქართველებისთვის" მიუთითებდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო შემდეგი, თუ ქართველი პოლიტიკოსები ვერ იპოვიდნენ ფუნდამენტური პრობლემის გადაწყვეტის გზას: როგორ მოვიზიდოთ ძალიან საჭირო ინვესტიციები საქართველოს სოფლის მეურნეობაში ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მცირე ფერმერების საარსებო წყაროს.
ამ კვირას, ორშაბათს, მე ვახლდი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს დავით ნატროშვილს და საქართველოს პირველ ელჩს სამხრეთ აფრიკაში ბექა დვალს მათი ვიზიტის დროს სართიჭალაში. ვიზიტის მიზანი იყო ზოგიერთ აფრიკელ ფერმერთან შეხვედრა, რომლებიც დასახლდნენ სართიჭალაში ბოლო 3 წლის განმავლობაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწვევით. სართიჭალის მოსახლეობასთან ცხოვრების და მუშაობის შემდეგ პიეტ კემპი და მისი კოლეგები საძოვრების ნაკლებობის საკითხს აყენებენ, რადგანაც ეს საკითხი პოტენციურად საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მცირე ფერმერების საარსებო წყაროს და ართულებს ბურების მათთან ურთიერთობას.
ამჟამად ყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 80%-ს სართიჭალის ტერიტორიაზე კემპი და სხვა ბურები ამუშავებენ. დამუშავებული მიწის წილი სავარაუდოა, რომ გაიზრდება ბურების ამბიციებიდან და მიმდინარე მთავრობის მიერ დაფინანსებული რეგიონალური სარწყავი სისტემების გაუმჯობესებიდან (სოფლის მეურნეობის განვითარების კრიტიკული საკითხი) გამომდინარე. შედეგი იქნება ის, რომ სართიჭალის მოსახლეობას კიდევ უფრო ნაკლები საძოვრები ექნება 3-4 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის, რომლებზეც

დამოკიდებულია მათი გადარჩენა. თუ სართიჭალის მოსახლეობას საქონელი მოუკვდება, ბური ფერმერების წინაშე დადგება უსაფრთხოების საკითხი, რომლებსაც თავი აარიდეს საქართველოში გადმოსვლით.
კემპი და სხვა ბურები ხვდებიან, რომ პრობლემა არსებობს და ყველანაერად ცდილობენ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს არის არა მხოლოდ ეფექტური დიპლომატიის საქმე: ბურები არიან ძირითადი დამსაქმებლები, ზოგიერთი მათი ინვესტიცია, მაგალითად წყალსადენში და სარწყავ სისტემებში ყველასთვის სარგებელის მომტანია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბურები მზად არიან გამოიყენონ მათ ხელთ არსებული „ნოუ-ჰაუ“, ტექნიკა და ფული, რათა ხელი შეუწყონ პრობლემის გადაწყვეტას.
იქიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) მიწების პრივატიზებისას მცირე ფერმერების („დაინტერესებული მხარე“, რომელსაც პრივატიზაციის პროცესზე დებატებში მონაწილეობის საშუალება საერთოდ არ ჰქონდათ) მომავალი არ იყო გათვალისწინებული, არჩევანი სართიჭალის სიტუაციაში ამჟამად ძალიან შეზღუდულია.
კემპი სთავაზობს დახმარებას (და რესურსებს), რათა სართიჭალის გლეხურ მეურნეობებში დაინერგოს უფრო ეფექტური კულტივაციის მეთოდები იმ მცირე ნაკვეთების, რომლებიც პრივატიზაციის პირველი ტალღის დროს მიიღეს, უფრო ეფექტური გამოყენებისთვის. სარწყავი სისტემების და სასუქის მცირე რაოდენობის გამოყენებით ადგილობრივებს მეტი საქონლის გამოკვების შესაძლებლობა ექნებათ. კემპი ასევე გაუწევს დახმარებას გლეხებს უკეთესი ჯიშების მოშენებაში და საქონლის პროდუქტიულობის გაზრდაში.
საქართველოს მთავრობა დგას დილემის წინაშე, რადგანაც გარედან დახმარების გარეშე ეს ყველაფერი საკმარისი მასშტაბით არ მოხდება. არც ბურებს და არც სხვა უცხოელ ინვესტორს (გარდა ისეთი გიგანტისა, როგორიცაა „ფერერო“) არ შეუძლია იტვირთოს მთლიანი ფინანსური ტვირთი, რომ გამოასწორონ საქართველოს წინა მთავრობების მიერ თავდაპირველი პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები. ამჟამინდელი ადმინისტრაცია მზად არის დაიცვას მიწის ახალი მფლობელების საკუთრების უფლება, თუმცა მეტის გაკეთებაა საჭირო. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება შეიძლება შეფერხდეს ადეკვატური ღონისძიებების გარეშე, რომლების შემუშავება უნდა მოხდეს საქართველოს ფერმერულ ასოციაციებთან, აგრობიზნესის წარმომადგენლებთან და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობით. მორატორიუმი (დროებითი) არ გადაწყვეტს ჩამოთვლილ პრობლემებს და ახალ პრობლემებსაც გააჩენს. ის ქმნის გაურკვევლობას საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კუთხით. ეს კანონი ვერ დაეხმარება ბურებს საკუთრების უფლებასთან და ინვესტიციებთან დაკავშირებული ღელვების დაძლევაში. არ გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და მცირე ფერმერების შემოსავლებს. მორატორიუმის შემოღებით საქართველოს მთავრობამ აჩვენა, რომ ხვდება, რა გამოწვევებია დაკავშირებული სწრაფ სასოფლო-სამეურნეო განვითარებასთან და ცდილობს დრო მოიგოს პრობლემების მისაღები გადაწყვეტის შესამუშავებლად.
იმედი ვიქონიოთ, რომ ამგვარად მოგებული დრო უქმად არ დაიკარგება. სოციალური სიმშვიდე და პოლიტიკური სტაბილურობა, რომლისთვისაც მორატორიუმი იქნა შემოღებული, რთული მისაღწევი იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ მორატორიუმი უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობაში უცხოურ და შიდა ინვესტიციებზე.

წყარო: *ISET Economist*

ამ ეტაპზე ყურძნის ფასი 1,00-1,26 ლარის ფარგლებშია

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იტყობინება, რომ 1 კგ საფერავის (წითელი ყურძნის) საშუალო ფასი შეადგენს 1,06 ლარს, ხოლო რქაწითელისა (თეთრი ყურძნის) - 1 ლარს. 10 სექტემბრამდე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ფასი შეადგენს 1,26 ლარს. კომიტეტის განცხადებით, 40 კომპანიამ გადაამუშავა მთლიანობაშ 17 327 ტ ყურძენი კახეთში 10 სექტემბრისთვის. ყველაზე დიდი მოცულობა (5 745 ტ), ანუ საერთო მოცულობის 33,3% მოდის სიღნაღის რაიონის ანგარიშზე, შემდეგ ადგილზეა ყვარელი (19,3%, ანუ 3 342 ტ), გურჯაანი (17,8%, ანუ 3 082 ტ), დედოფლისწყარო (15%, ანუ 2 598 ტ), თელავი (13,6%, ანუ 2 349 ტ). დანარჩენი 211 ტონა (ანუ 1,2%) ახმეტის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების ანგარიშზეა. კომიტეტმა განაცხადა, რომ გარდა კერძო კომპანიებისა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „გრუზვინპრომი“ ასევე ყიდულობს ყურძენს. უახლესი მონაცემებით, „გრუზვინპრომმა“ გადაამუშავა 700 ტ ყურძენი.

DAILY NEWS, 12 სექტემბერი, 2013

საერთაშორისო ტრეინინგი „გარემოსდაცვითი მართვის გეგმა“

ინფორმაცია საერთაშორისო ტრეინინგზე „გარემოსდაცვითი მართვის გეგმა“, ევროკავშირისა და FAO-ს პარტნიორობის პროექტის „გაუმჯობესებული პესტიციდების და ქიმიკატების მართვა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში" ფარგლებში ხელმისაწვდომია ამ მისამართზე.

34 კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებებას ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ყურძნის შესყიდვის თაობაზე

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია იტყობინება, რომ 34 კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებებს ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ყურძნის შეძენის სუბსიდირებაზე. კახეთში, მევენახეობის მთავარ რეგიონში, 32 კომპანიამ გადაამუშავა ყურძენი 8 სექტემბრისთვის. განცხადებები ყურძნის შეძენასთან დაკავშირებით წარმოდგენილია კიდევ 85 კომპანიის მიერ. შეგახსენებთ, რომ 1 კგ ყურძნის 1 ლარად ან უფრო მაღალ ფასად შეძენის შემთხვევაში, ღვინის კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ 15 თვიანი შეღავათიანი სესხები 12-15% საპროცენტო განაკვეთით, საიდანაც სახელმწიფო ფარავს 9%-ს. ფიფიამ აღნიშნა, რომ საერთო ჯამში ამ წლის იანვრიდან სექტემბრის დასაწყისამდე ქართული ღვინის ექსპორტი განხორციელდა 42 ქვეყანაში. მოცულობამ მიაღწია 22,2 მილიონ ბოთლს, აქედან 7 მილიონი ბოთლი მიეწოდა რუსეთს.

DAILY NEWS, 11 სექტემბერი, 2013

კახეთის ანგარიშზეა მე-2 კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების 40%

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2 439 სესხი გაიცა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მე-2 კომპონენტის (სოფლის მეურნეობის საწარმოების ფიქსირებული და მიმდინარე აქტივების დაფინანსება) ფარგლებში. საერთო მოცულობამ შეადგინა 94,1 მილიონი ლარი. სესხების 39,96% გაიცა კახეთის რეგიონში. შემდეგ მოდის შიდა ქართლი - 19% (461 სესხი), ქვემო ქართლი - 16,8% (408 სესხი) იმერეთი - 11,1% (270 სესხი), სამცხე-ჯავახეთი - 4,5% (109 სესხი). 40 სესხი გაიცა თბილისში (1,6%). სამინისტრომ განმარტა, რომ საუბარია სოფლებზე, რომლებიც

მდებარეობს თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების შიგნით. დარჩენილი სესხები ნაწილდება სამეგრელოს, მცხეთა-მთიანეთს, აჭარას, გურიას, რაჭა-ლეჩხუმს შორის.
DAILY NEWS, 11 სექტემბერი, 2013

49 ახალ საწარმოზე სესხები გაიცა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია აცხადებს, რომ 200 ბენეფიციარი დაფინანსდა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში.
მათ შორის 49 ახლადშექმნილი საწარმოა. სულ პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში (სოფლის მეურნეობის საწარმოების დაფინანსება) 25,6 მილიონი აშშ დოლარია გათვალისწინებული. 10 სექტემბრითვის 5 343 სესხი 94,1 მილიონი ლარის საერთო მოცულობით გაიცა პროგრამის პირველი სამი კომპონენტის ფარგლებში. ამავე დროს, 2 685 ბენეფიციარი დაფინანსდა პირველი კომპონენტის ფარგლებში (სასაქონლო კრედიტი) 1,1 მილიონი ლარით, 2 439 ბენეფიციარმა მიიღო სესხი 48,4 მლნ ლარის ოდენობით მე-2 კომპონენტის ფარგლებში (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივების დაფინანსება). შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა მოიცავს ახლა ხუთ კომპონენტს - მე-4 - მეურნეობის იარაღების და მანქანების იჯარა და მე-5 - შეღავათიანი სესხები ღვინის კომპანიებისთვის.
DAILY NEWS, 11 სექტემბერი, 2013

რუსეთში 1 ბოთლი ქართული ღვინო, საშუალოდ, 3,5 აშშ დოლარი ღირს

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის პაატა ჭავჭანიძის მონაცემებით, ამ ეტაპზე რუსეთში 6 მილიონზე მეტი ბოთლი ღვინოა გატანილი, რაც ფულად გამოსახულებაში 24 მილიონ ლარს შეადგენს. ექსპორტს 20-მდე კომპანია ახორციელებს. ჭავჭანიძის თქმით, რუსეთში ქართული ღვინო საშუალოდ 3,5 აშშ დოლარი ღირს და ფასი მატულობს ბრენდის, ხარისხისა და შეფუთვის შესაბამისად. ქართული ნაწარმის მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალია და წლის ბოლომდე10 მილიონამდე ბოთლის გადაზიდვა მოხდება, აცხადებს ის და დასძენს: რუსეთში „არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს“. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულში შედიან უკრაინა (45%-იანი წილით), ყაზახეთი, ბელორუსი, რუსეთი და პოლონეთი.
ECONOMIC PRESS MONITOR, 11 სექტემბერი, 2013

ციტრუსის მოსავალი 70 ათას ტონას გადააჭარბებს, ფასი კი მაღალი იქნება

არსებული პროგნოზით, წლეულს ციტრუსის მოსავალი 70 000 ტონას გადააჭარბებს. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე ირწმუნება, რომ წელს მთავარი აქცენტი ხარისხზე გაკეთდება. საქართველოში მაღალი ხარისხის ციტრუსი მოსავალში 10%-საც არ აღწევს, აღნიშნავს გაზეთი. მესხიძის ინფორმაციით, მიმდინარეობს საუბარი ციტრუსის სუბსიდირებაზე, გადაწყვეტილება კი ოქტომბრის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი. რუსეთის შემდეგ ციტრუსის ექსპორტისთვის ყველაზე მიმზიდველი უკრაინის ბაზარია, თუმცა იქ მთავარი კონკურენტი თურქული პროდუქტია. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო რამდენიმე თვეა მოლაპარაკებებს მართავს მეზობელ ქვეყნებთან სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობის დარეგულირების თაობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისში ოქტომბერში ქართული, აზერბაიჯანული და თურქული მხარეების შეხვედრა გაიმართება.

ECONOMIC PRESS MONITOR, 11 სექტემბერი, 2013

არაბები და ირანელები ქართულ ცხვარზე უარს ამბობენ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, დაახლოებით 46 130 ცხვარი იქნა ექსპორტირებული ამ წელს (აგვისტოს მონაცემით), რის შედეგადაც 1,3 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი იქნა მიღებული. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, ქართული ცხვარი ძირითადად აზერბაიჯანელმა შეიძინეს. მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ბექა გონიაშვილმა განაცხადა, რომ ექსპორტი ფაქტობრივად განახევრდა, რადგანაც აზიელებმა და არაბებმა შეიძინეს 80 000 ცხვარზე მეტი 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. გონიაშვილი ამბობს, რომ ვაჭრები გადავიდნენ ახლა მოლდავეთში და რუმინეთში, სადაც ცხვარი უფრო იაფია. ქართული ცხვარი ამჟამად დაახლოებით 110-129 აშშ დოლარი ღირს უცხოელებისთვის, მაშინ როდესაც ფასი 50-60 აშშ დოლარი იყო 2010 წელს, როდესაც მოთხოვნა მაღალი იყო. გონიაშვილი მიუთითებს აგრეთვე, რომ ქართული ცხვარი არის ძალიან მცირე ზომის და ჯიშს სჭირდება გაუმჯობესება. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ცხვრის 80-85% საქართველოში თუშური ჯიშისაა და ხასიათდება უხეში მატყლით და უგემრიელესი ხორცით.

ECONOMIC PRESS MONITOR, 10 სექტემბერი, 2013

რუსი ექსპერტები საქართველოში მომავალ კვირას უნდა ჩამოვიდნენ

ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, რუსი ექსპერტების მესამე ჯგუფი ჩამოვა საქართველოში 16 სექტემბერს, რათა შეამოწმოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიები. ჯგუფი შეამოწმებს 27 კომპანიას. მათგან 25 კომპანია შემოწმდა წინა ვიზიტების დროს და უკვე აწარმოებს ღვინის ექსპორტს რუსეთში, აღნიშნავს სააგენტო. აგვისტოს მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტმა რუსეთში შეადგინა 4,5 მილიონი ლ და მიაღწია ქვეყნის მთლიანი ღვინის ექსპორტის 27%-ს.

DAILY NEWS, 10 სექტემბერი, 2013

„ვითიბი ბანკმა“ კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ 3,35 მილიონი ლარით დააფინანსა

„ვითიბი ბანკმა“ კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ 3,35 მილიონი ლარით დააფინანსა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მეხუთე კომპონენტის ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ღვინის საწარმოების მიერ ყურძნის შეძენა ფინანსდება. „ვითიბი ბანკის“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორმა ვლადიმერ რობაქიძემ განაცხადა, რომ „ვითიბი ბანკსა“ და კომპანია „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას“ 3 წლიანი პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებთ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბანკმა 16 მილიონ ლარზე მეტი სესხი გასცა 600-ზე მეტ მეწარმეზე და ფერმერზე.

DAILY NEWS, 9 სექტემბერი, 2013

თელიანი ველი ღვინოს რუსეთში 2013 წლის ბოლომდე გაიტანს

როგორც „სარკეს“ სს „თელიან ველში“ განუცხადეს, კომპანიის ღვინო რუსეთში მიმდინარე წლის ბოლომდე გავა. დღეისთვის ღვინის კომპანია ექსპორტს 25-მდე ქვეყანაში ეწევა. რაც შეეხება „თელიანი ველის“ ფინანსურ მაჩვენებლებს, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლოს 509 000 ლარის წმინდა მოგება დაფიქსირდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 9-ჯერ აღემატება. 30 ივნისის მდგომარეობით,

კომპანიას გააჩნია 615 000 ლარის ოდენობის გაუნაწილებელი მოგება. 2012 წლის ივნისის ბოლოსთვის კი კომპანიას 805 000 ლარის აკუმულირებული ზარალი გააჩნდა. თელიანმა ველმა პროდუქციის რეალიზაციიდან 6 თვეში მიიღო 15,02 მილიონი ლარის შემოსავალი, რაც 2012 წლის პირველ ნახევართან შედარებით 23,85%-ით არის გაზრდილი, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება კი 7,7 მილიონ ლარს შეადგენდა (ზრდა - 20,19%). 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი აქტივები 33,03 მილიონ ლარს შეადგენს (ზრდა - 23,7%), მთლიანი ვალდებულებები კი - 16,09 მილიონი ლარია (ზრდა - 34,2%). კომპანიის საწესდებო კაპიტალი ერთი წლის განმავლობაში 1,71%-ით გაიზარდა და 2013 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის 771 000 ლარს შეადგენს.
DAILY NEWS, 5 სექტემბერი, 2013

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი
ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე.